ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №34

22 ოქტომბერი, 2019 წელი

15:00 საათი

(ჯანდაცვის კომისიის ოთახი N329)

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე;
2. თამარ ტალიაშვილი;
3. ნინო ლაცაბიძე;
4. ვლადიმერ ძნელაძე;
5. ლილე ლიპარტელიანი;
6. დავით ჟღენტი.

მოწვეული სტუმარი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ლიალა ჯელაძე.

სხდომის დღის წესრიგი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხილვა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.

გიორგი ბირბიჩაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი. კომისიის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე, მომავალი წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ქვეპროგრამების შესახებ იმსჯელეს.

კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძემ სამომავლო გეგმებზე ისაუბრა და კომისიის წევრებს, ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით რამდენიმე პროგრამის შესახებ საკუთარი წინადადებები და მოსაზრებები გააცნო. კომისიის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ გამოთქვა სურვილი რომ, ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამებს დაემატოს ,,გაფანტული სკლეროზით'' და ,,კოქსართროზით'' დაავადებულთა მკურნალობის ქვეპროგრამები.

ასევე, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე, მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს ციალა ჯელაძეს მოუსმინეს, რომელმაც დეპუტატებს მომავალი წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ქვეპროგრამების შესახებ ზოგადი ინფორმაცია მიაწოდა.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე